

285
1966/3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები



№ 6 (305)

1966 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემა

თბილისი



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (305)

ივნისი

1966 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი


განყოფილება პირველი

- 89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკური მთავარი სამმართველოდ.
- 90. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. მ. გ. კოდუის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.
- 91. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
- 92. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დმანისის, თერჯოლის და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.
- 93. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის სასამართლოებში პირობითი მსჯავრის გამოყენებისა და პირობით მსჯავრდებულებთან აღმზრდელიობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.
- 94. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ელდარის სოფელ კასრისწყალად გადაქმნევისა და კასრისწყლის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი (საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია)

- 95. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“ 1958 წლის 28 ნოემბრის კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.





- 96. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის, სახალხო განათლებისა და კულტურის მინისტრის კომისიების მუშაობის შესახებ.
- 97. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატებების შეტანის შესახებ.
- 98. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. ი. ი. ჩოდროშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 99. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. მ. გ. კოდუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 100. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „სოხუმის რაიონის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-20 მუხლში დამატების შეტანის შესახებ.
- 101. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
- 102. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
- 103. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 104. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 403-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 105. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 106. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. დ. ზ. რომელაშვილის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 107. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. ვ. ი. ვალაქორიას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 108. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. აშხ. უ. გ. თარგამაძის, გ. ე. სვანიძის, ა. პ. ჭიჭარაძისა და დ. ფ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ.


ბანაოფილიზა მირო



109. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით "მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.
110. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით "წყალწადებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.
111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის ბიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშეთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის ბიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
117. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. მ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
118. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. მ. რ. ი. ლიპარტიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანაოფილიზა მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში.



ბანყოფილება კირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

89 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკურ მთავარ სამმართველოდ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკური მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკურ მთავარ სამმართველოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი. 1966 წლის 20 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

90 ამხ. მ. გ. კოდუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

დანიშნოს ამხ. მიხეილ გალაქტიონის ძე კოდუა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი. 1966 წლის 20 ივნისი.



დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომისიის ახალი შემადგენლობის დაგეგმვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
 დირექციულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ
 სრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ვიქტორია მოსეს ასული სირაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

კომისიის მდივანი

ნათელა ილიას ასული ლალიძე — საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

კომისიის წევრები:

დავით ილარიონის ძე ბალანჩივაძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების გამგე.

პავლე ეპიფანეს ძე ბერძენიშვილი — საქართველოს სსრ პროკურორი.

გაბრიელ ნოეს ძე გოშაძე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.


გიორგი ნიკოლოზის ძე ჭიბლაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

გრიგოლ დავითის ძე შორუჯიაშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

დარეჯან მელიტონის ასული იოსელიანი — საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

ჭუანშერ ალექსანდრეს ძე კვარაცხელია — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი.

დავით ვიქტორის ძე კეშელავა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.



მიხეილ ყარამანის ძე **ლომიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე.

ვლადიმერ ივანეს ძე **მაისურაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი მართლის თავმჯდომარე.

გრიგოლ გიორგის ძე **ფოფხაძე** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის დირექტორი.

ლევან აბოს ძე **საყვარელიძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

გორგი ვასილის ძე **სიხარულიძე** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე.

ოთარ ვასილის ძე **თაქთაქიშვილი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

მიხეილ ესტატეს ძე **თოფურაძე** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

თინათინ ვასილის ასული **წერეთელი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის განყოფილების გამგე — პროფესორი.

მიხეილ თეოფანეს ძე **ჩიხლაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ელუარდ ამბროსის ძე **შევარდნაძე** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 13 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვახაძე**.

თბილისი, 1966 წლის 24 ივნისი.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

92 დმანისის, თერჯოლის და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები გარკვეულ ყურადღებას აქცევენ ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებას. მრჩეველთა წინადადებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ დმანისის, თერჯოლისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები გარკვეულ ყურადღებას აქცევენ ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებას. აღმასკომები საჭირო დახმარებას უწევენ დეპუტატებს ამომრჩეველთან შეხვედრის ორგანიზაციაში და განაწესების შესრულებაში, უზრუნველყოფენ



მათ საცნობარო მასალით, აზოგადებენ დეპუტატთა მუშაობის გამოცდილებას და პერიოდულად ატარებენ საინსტრუქტაჟო თათბირებს. აღმასკომებს და მუშაკომებს შეწყობით დეპუტატებს საშუალება ეძლევათ უფრო საქმიანი მონაწილეობა მოუხინონ სათანადო ორგანიზაციებს დასახლებულ პუნქტთა კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტურა-განმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებაში.

უკეთ არის დაყენებული ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვის, შესრულებისა და დეპუტატებისათვის პასუხის გაცემის საქმე. თერჯოლისა და დმანისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დაამტკიცეს „ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, პუდმივი კომისიების წინადადებებისა და საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების წესი“.

დეპუტატების ინიციატივით და ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით ბევრი რამ გაკეთდა დასახლებული პუნქტებისა და გზების კეთილმოწყობის, გამწვანებისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ასე მაგალითად, დმანისის რაიონში კაპიტალურად შეკეთდა 18 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზა. სოფლებში გაყვანილ იქნა სასმელი წყალი, კეთილმოწყობა რაიონის ცენტრის ქუჩები და სხვა. ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხავოში გაიხსნა ბიბლიოთეკა. მეორე მუხურის რვაწლიან სკოლას მიშენდა საკლასო ოთახები და სხვა.

თერჯოლის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გასულ და მიმდინარე წელს სამჯერ განიხილა ამომრჩეველთა წინადადებების განხორციელების საკითხი და პრაქტიკული ღონისძიებანი გაატარა მათ შესასრულებლად. 87 წინადადებიდან შესრულებულია 73 წინადადება.

ამასთან, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ დმანისის, თერჯოლის და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ამომრჩეველთა წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების საქმეში გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი.

დმანისის რაიონული საბჭოს აღმასკომს გასული წლის სექტემბრის შემდეგ არ აღურიცხავს და არ განუხორციელებია ღონისძიებანი ამომრჩეველთა წინადადებების შესასრულებლად. თითქმის არც ერთ სასოფლო საბჭოს აღმასკომს არ განუხილავს ამომრჩეველთა წინადადებების განხორციელების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველებმა დააყენეს მნიშვნელოვანი წინადადებანი ადგილობრივი გზების კეთილმოწყობის, დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობის, ხიდების მშენებლობის გაუმჯობესებისა და განათლების, კულტურის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა ობიექტთა მუშაობის უკეთ წარმართვის შესახებ.

როგორც თერჯოლის, ისე ჩხოროწყუს რაიონების სასოფლო საბჭოების აღმასკომების უმრავლესობა არ ითვალისწინებს აღმასკომის სამუშაო გეგმით ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებას და არ ღებულობს ზომებს ამ

მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ჩასაბმელად. თერჯოლის რაიკომპერატის გამგეობას არ შეუძლია ზომები ამომრჩეველთა იმ წინადადებების შესასრულებლად, რომლებიც მას გადაეგზავნა გასული წლის სექტემბერში და მიმდინარე წლის აპრილში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს დმანისის, თერჯოლის და ჩხოროწყუს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. ი. ისმაილოვი, ვ. ლიბრაძე, შ. თოდუა):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა წინადადებების აღრიცხვასა და განხილვას; არ დაუშვან, რომ უყურადღებოდ დარჩეს ამომრჩეველთა წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები;

ბ) საჭირო დახმარება აღმოუჩინონ დეპუტატებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებაში; აღმასკომის სამუშაო გეგმაში შეიტანონ ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ ზომები მათ განსახორციელებლად; შესრულების შედეგები აცნობონ ამომრჩეველებს და დეპუტატებს;

გ) ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი დეპუტატთა ინიციატივას და ამომრჩეველთა იმ წინადადებებს, რომლებიც მიზნად ისახევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, ქუჩების გამწვანებას და გზებისა და ხიდების მშენებლობა-შეკეთებას.

გამონახონ დამატებითი ადგილობრივი საშუალებანი და შესაძლებლობანი ამომრჩეველთა წინადადებების განსახორციელებლად და უზრუნველყონ მათ შესრულებაში მოსახლეობის ფართო მონაწილეობა;

დ) გააძლიერონ კონტროლი დეპუტატების მიერ ამომრჩეველებისათვის ანგარიშების ჩაბარებაზე, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული დეპუტატი პერიოდულად გამოდიოდეს ანგარიშით ამომრჩეველთა წინაშე და აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა პერიოდულად შეისწავლონ ქვემდგომ საბჭოებში ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების მდგომარეობა და შედეგები განიხილონ აღმასკომის სხდომაზე, უზრუნველყონ ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სრული ლიკვიდაცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანახია.



დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

93 რესპუბლიკის სასამართლოებში პირობითი მსჯავრდებულების განმარტების ნებისა და პირობით მსჯავრდებულებთან აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის აშხ. ს. ი. ქაჯაიას მოხსენება და პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მასალები, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები წინა წლებთან შედარებით უფრო სწორად და ფართოდ იყენებენ პირობით მსჯავრდებულებას და უფრო ეფექტური გახდა აღმზრდელობითი მუშაობა პირობით მსჯავრდებულებთან.

კანონის მოთხოვნათა დაცვით პირობითი მსჯავრდების გამოყენება დიდ აღმზრდელობითა და გამაფრთხილებელ ზემოქმედებას ახდენს კანონიერების დამრღვევებზე, შესაძლებელს ხდის მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური დახმარებით მათ გამოსწორებას საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე.

ამასთან ერთად, პირობითი მსჯავრდების გამოყენების პრაქტიკაში და პირობით მსჯავრდებულებთან აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული დარღვევები და შეცდომებია.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო პირობითი მსჯავრდების გამოყენებისას არ ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და იმ მონაცემებს, რომლებიც უარყოფითად ახასიათებენ დამნაშავეს.

მაგალითად, ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლომ ბოროტი ხელიგნობისათვის პირობითი მსჯავრი შეუფარდა ნ. ი. ტოროშელიძეს, რომელსაც, ადრე, ხელიგნობისათვის მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა; ჩოხატაურის რაიონის სახალხო სასამართლომ დიდი ოდენობით სპეკულაციისათვის პირობითი მსჯავრი შეუფარდა ს. გ. თეთრუაშვილს, რომელსაც ადრე, ასეთივე დანაშაულისათვის, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც პირობით მსჯავრდებულს სახალხო სასამართლოები კანონთან შეუსაბამოდ უნიშნავენ ისეთ დამატებით სასჯელს, როგორცაა ქონების კონფისკაცია, ავტორტრანსპორტის მართვის და გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა (ახალციხის, მარნეულის, გორის, ორჯონიკიძის, გუდაუთის და ბათუმის რაიონის სახალხო სასამართლოები); ხშირად კი, პირიქით, დამატებით სასჯელს ვერ ასხვავებენ დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტისაგან (ქობულეთის, ხობისა და ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონების სახალხო სასამართლოები).

პირობითი მსჯავრდების გამოყენების პრაქტიკაში კვლავ სერიოზულ ნაკლოვანებად რჩება ის გარემოება, რომ ბევრი სახალხო სასამართლო სათანადოდ არ

აფასებს საზოგადოებრიობის როლს პირობით მსჯავრდებულთა ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებაში, იშვიათად იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას — გადასცეს დამნაშავე მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ. ასე მაგალითად, პირობით მსჯავრდებულთა 50 პროცენტზე მეტი აღსაზრდელად არ გადაუციათ მშრომელთა კოლექტივებისათვის. ზოგიერთ სახალხო სასამართლოს კი მშრომელთა კოლექტივებისათვის აღსაზრდელად არ გადაუცია არც ერთი დამნაშავე, რომელსაც პირობითი მსჯავრი დაედო; ისინი არ ახორციელებენ კონტროლს პირობით მსჯავრდებულთა მოქმედებაზე (გალის, გულრიფშის, ზნაურის, ჯავის, მცხეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, ქალაქ თბილისის 26 კომისიისა და კიროვის რაიონების სახალხო სასამართლები).

მიუხედავად იმისა, რომ პირობით მსჯავრდებულნი, როგორც წესი, პატიოსანი შრომითა და კარგი ყოფაქცევით ამართლებენ ნდობას, მათი მცირე ნაწილი (5,8 პროცენტი) კვლავ სჩადის განმეორებით დანაშაულს, რაც უპირველეს ყოვლისა აღმზრდელობითი მუშაობის ხარვეზთა შედეგია.

პირობით მსჯავრდებულებთან აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სამეთვალყურეო კომისიების საქმიანობას, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა განახორციელონ კონტროლი და დახმარება გაუწიონ პირობით მსჯავრდებულებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას. ასე მაგალითად, მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო და ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიები არ უწყევენ კონტროლს პირობით მსჯავრდებულებთან აღმზრდელობით მუშაობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:


1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1966 წლის 25 მარტს პლენუმზე განიხილა რესპუბლიკის სასამართლოებში პირობითი მსჯავრის გამოყენების პრაქტიკის შესწავლის შედეგები და დასახა ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს (ამხ. ვ. ი. მაისურაძე):

ა) უზრუნველყოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ პირობითი მსჯავრის გამოყენება კანონის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით;

ბ) სისტემატურად შეისწავლოს პირობითი მსჯავრის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, განაზოგადოს დადებითი გამოცდილება და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და შეცდომების გამოსასწორებლად;

გ) პირობით მსჯავრდებულებთან აღმზრდელობითი მუშაობის და მათ მოქმედებაზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, მიაღწიოს სახალხო სასამართლოების კავშირის გაძლიერებას მშრომელთა კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.



3. დაევალოს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კომპლექსური სამეთვალყურეო კომისიების მუშაობისადმი, პერიოდულად მოინახინონ კომისიების ანგარიშები და დახმარება გაუწიონ მათ პირობით მსჯავრდებულთა შრომით მოწყობაში.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. პ. ე. ბერძენიშვილი) გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლო ორგანოებში პირობითი მსჯავრის გამოყენების კანონიერებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი. 1966 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
94 წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის სასოფლო საბჭოში შე-
მაჯალ სოფელ ელდარის სოფელ კახსრისწყალად გადაკმევისნი
და კასრისწყლის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ეწოდოს წითელწყაროს რაიონის სოფელ ელდარს სოფელი კასრისწყალი.
2. გამოეყოს ქვემო ქედის სასოფლო საბჭოს სოფელი კასრისწყალი და შეიქმნას კასრისწყლის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ კასრისწყალში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი. 1966 წლის 24 ივნისი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული
კანონები და დადგენილებანი**

(საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია)
დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

95 „საქართველოს სსრ გუნების დაცვის შესახებ“ 1958 წლის 28
ნოემბრის კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შოადგილის დეპუტატ ზ. გელდიანიშვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფ-

ლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ხომიჭურაშვილის თანამოხსენება — „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“ წლის 28 ნოემბრის კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ნათქვამს, რომ ბუნების დაცვის კანონმა დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, მოვლის, კვლავწარმოებისა და მათი გონივრულად გამოყენების საქმეში.

ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმით შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამიტომ ბუნების დაცვასა და მის სიმდიდრეთა სწრაფად ექსპლუატაციას, რაც ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ბუნებრივი რესურსების დაცვა და მათი გეგმაზომიერი გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ხალხის ჯანმრთელობის დაცვისა და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი ამაღლებისათვის.

ბუნების დაცვის კანონის მიღების შემდეგ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა — ტყის, ნიადაგის, წიაღისეულის, წყლის, ფაუნისა და სხვათა დაცვა. მოვლა და რაციონალურად გამოყენება, ბუნების დაცვა და მისი რესურსების გამრავლება-გაფართოება საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ „ბუნების მეგობარმა“, მილიციის, პროკურატურის და სასამართლოს ორგანოებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიამ, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეცნიერო და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ცალკეულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და წარმოება-დაწესებულებებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ბრძოლა ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და კვლავწარმოებისათვის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობა სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე იხილავს ბუნების დაცვის კანონის განხორციელების მიმდინარეობას და ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს გამომვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ბუნების დაცვის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ზოგიერთი რაიონული და სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისია.

განვიღო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქართველოს ტყეების მოვლისა და დაცვის საქმეს. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, ნებაყოფლობითი საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ და სატყეო მეურნეობების თაოსნობითა და ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში ყოველწლიურად ეწყობა ბუნების დაცვის ერთთვიური; ირგვება მილიონობით ხე და ბუჩქი, შენდება ტყე-პარკები. მოსახლეობაში ხშირად ეწყობა ლექციები და საუბრები ბუნების დაცვისა და მისი სიმდიდრის გამოყენების ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე.

რესპუბლიკის ტყეების, ბუნების ამ მნიშვნელოვანი ობიექტის დაცვისა და მათში სწორი მეურნეობის წარმოების მიზნით, საქართველოს სსრ, მინისტროსა და საბჭომ რიგი ღონისძიებები განახორციელა, რომელთა ცხოვრებისეული ნაწილები შედეგად გაუმჯობესდა ტყეების დაცვისა და განახლების მდგომარეობა. ტყის ქრის მოქმედი წესებიდან ამოღებულია ე. წ. უნებურ-ამორჩევითი ტრები და ტყით უწყვეტი სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ხე-ტყით სარგებლობის ყოველწლიური ოდენობა განისაზღვრა საქსლუათაციო უბნებში მერქნის საშუალო წლიური მატების მიხედვით, ცალკეულ რაიონებში მთლიანად აიკრძალა ტყის სამრეწველო ექსპლუატაცია. შემცირდა ტყეების უნებართვოდ გაჩეხვის შემთხვევები. გაძლიერდა ტყეების აღდგენა-განახლებისა და მწვანე ნარგავთა დარგვის სამუშაოები. 1958 წლიდან დღემდე რესპუბლიკის სატყეო მეურნეობებმა გააშენეს 25840 ჰექტარი ტყე; დაბალი სისშირის ტყეების აღსადგენად 143 ათას ჰექტარზე განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებები. დიდი მუშაობაა ჩატარებული ქალაქების, რაიონული ცენტრების, სოფლებისა და გზების გასამწვანებლად.

საგრძობლად გაუმჯობესდა სასარგებლო ნადირ-ფრინველის, აგრეთვე თევზის დაცვისა და მომრავლების საქმე. მკაცრი ბრძოლა გამოეცხადა ნადირობისა და თევზის ჭერის წესების დამრღვევთ.

გაფართოვდა ნაკრძალებისა და სანადირო მეურნეობების ქსელი.

რესპუბლიკის პრესა, რადიომთაუწყებლობა და ტელევიზია სათანადო ყურადღებას უთმობენ ბუნების დაცვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ცალკეული აქტუალური საკითხების გაშუქებას.

ამავე დროს, საქართველოს ბუნების დაცვის, მოვლისა და მის სიმდიდრეთა გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ბუნების დაცვის კანონის განხორციელებას, მათ არ განუხილავთ სესიაზე ან აღმასკომის სხდომაზე ბუნების დაცვის კანონის განხორციელების მდგომარეობა და არ დაუსახავთ კონკრეტული ღონისძიებანი. ბუნების დაცვის კანონის განხორციელების საქმეში ფართოდ არ არიან ჩაბმული ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახმეტის, თელავის, დმანისის, ბოლნისის, საჩხერის და სხვა რაიონებში ხშირად ირღვევა სატყეო მეურნეობის რაციონალური წარმოების წესები.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ტყეების უნებართვოდ გაჩეხვის შემთხვევები. უკანასკნელ 4 წელს სახელმწიფო ტყეებში უნებართვოდ არის მოჭრილი 50 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე.

სახელმწიფო ტყეების წარსულში უსისტემო და არაწესიერი ექსპლუატაციის გამო, რესპუბლიკაში ამჟამად 400 ათას ჰექტარზე მეტი დაბალი სისშირის ტყეა, რომელთა აღსადგენად საჭიროა სპეციალური სამუშაოების ჩატარება.

ტყეების საერთო მდგომარეობის გაუარესების გამო გახშირდა წყალდიდობის, მეწყერების, ნიადაგის ეროზიისა და სხვა მავნე სტიქიური მოვლენების შემთხვევები, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობასა და მოსახლეობას.

მართალია, რიგ რაიონში მიმდინარეობს წყლითა და ქარით გამოწვეული ეროზიების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი კომპლექსური გეგმა.

საქართველოს ნაძვის ტყეებში გავრცელებული მავნებლის — ნაძვის დიდი ლაფანჭამიას — წინააღმდეგ ჩატარებულმა მეცნიერულმა და პრაქტიკულმა მუშაობამ ჯერჯერობით ვერ მოგვცა სასურველი შედეგი.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ხე-ტყის საზიდი გზების მშენებლობა, რის გამოც, ჭრატარებულ ტყის მასივებში ადგილი აქვს განმეორებით ჭრას.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს 1959-1965 წ. სახელმწიფო ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმა.

სახელმწიფო ქარსაფარი ზოლი სატყეო მეურნეობებმა გააშენეს 3325 ჰექტარზე, ნაცვლად 4189 ჰექტარისა; მინდორსაცავი ტყის ზოლები საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 756 ჰექტარზე, ნაცვლად 1616 ჰექტარისა, ხოლო კოლმეურნეობებმა — 1247 ჰექტარზე, ნაცვლად 16287 ჰექტარისა.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის მხრივ. ადგილი აქვს ტყეების მთლიანად გაჩეხვის ფაქტებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ არის შედგენილი ტყით სარგებლობისა და აღდგენის საორგანიზაციო-პერსპექტიული გეგმები, კოლმეურნეობებს არა ჰყავთ მეტყევე სპეციალისტები.

სერიოზული ნაკლოვანებებია სასარგებლო ფაუნის მომრავლებისა და დაცვის საქმეში; ირღვევა ნადირობის ვადები, სასარგებლო ფრინველებსა და ცხოველებზე ნადირობის წესები; ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ბრაკონიერობა.

რიგ რაიონში არასახარბიელო მდგომარეობაა თევზის რეწვისა და დაცვის საქმეში. აღმოფხვრილი არ არის დაუშვებელი ხერხებით თევზის მოპოვება.

ცალკეულ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა წყლის რესურსების დაცვას, მოვლასა და გამოყენებას. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ძვირფასი მინერალური და თერმული წყლების ექსპლუატაცია. მზრუნველობასა და დაცვას მოითხოვს ჰიდროელექტროსადგურებისა და სარწყავი სისტემების წყალშემკრები აუზები.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ყოველთვის არ ღებულობენ სათანადო ზომებს ბუნების დაცვის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ. ადგილი აქვს აღძრული საქმეების დაგვიანებით განხილვის შემთხვევებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დავალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) დროულად განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვას, მოვლას, კვლავწარმოებასა და მათ რაციონალურ გამოყენებას;

ბ) რეგულარულად შეამოწმონ ბუნების დაცვის კანონის შესრულების მონიტორინგობა და განიხილონ ეს საკითხი სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე; გამოავლინონ ბუნების დაცვის კანონის დამრღვევები და მკაცრად დაეჯიჯონ; იმ პირებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომელთა მოქმედება იწვევს წყლის, ჰაერისა და ნიადაგის გაბინძურებას, თევზის მასობრივ მოსაპოვას, ჰავის გაუარესებას, ნიადაგის ეროზიის წარმოქმნას, მდინარეებისა და ტბების დაშრობას, მეწყერთა წარმოქმნას, ტყის შეტბორებას, ტყის ფართობების გადაქცევას სხვა სავარგულებად, ძვირფასი და იშვიათი მცენარეების, გარეული ცხოველებისა და ფრინველების მოსაპოვას. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, საბჭოების მუდმივი კომისიები, „ბუნების მეგობრის“ ნებაყოფლობითი საზოგადოება და მშრომელთა ფართო მასები;

გ) საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის მოწესრიგების მიზნით რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს გადასაცენ სახელმწიფო ტყის ფონდში ის ფართობები, რომელთა მოვლა-აღდგენის საშუალება მათ არ აქვთ და რომელთა არასწორი ექსპლუატაცია ნიადაგების გაძლიერებული ეროზიის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს სატყეო მეურნეობებისადმი დახმარება და ხელმძღვანელობა, ტყის მეურნეობის წარმოების საქმეში დაამყაროს სრული წესრიგი;


ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის დაბალი სისშირის ტყეების მწარმოებლობისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ დადგენილი წესებისა და მეთოდების გათვალისწინებით, შეიმუშაოს ამ ტყეების აღდგენა-რეკონსტრუქციის ერთიანი პერსპექტიული გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

გ) მკაცრი კონტროლი დააწესოს ტყეების დაცვაზე; გადამჭრელი ზომები მიიღოს ტყეების უნებართვო გაჩეხვის აღმოსაფხვრელად, ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს ტყის მავნებლების, განსაკუთრებით ნაძვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

დ) მცირე ტყიან და უტყეო რაიონებში გააძლიეროს ტყეების ხელოვნურად გაშენების ტემპები, ფართოდ გააშენოს ძვირფასი და სწრაფშარდი ჯიშები. კონკრეტული ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად მოაწყოს ტყის სანერგე მეურნეობანი.

უზრუნველყოს ტყის კულტურების მაქსიმალური გახარება და არ დაუშვას მათი გაჩანაგება-დაღუპვის შემთხვევები; ყველა ზომა მიიღოს, რათა დროულად და ხარისხიანად შესრულდეს სახელმწიფო ქარსაფარი ტყის ზოლების გაშენების გეგმა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, „ბუნების მეგობრის“ საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს, საზოგადოება „მონკავშირის“, საქართველოს თევზდაცვის სამმართველოს სასარგებლო ფაუნის, კერძოდ, თევზის დაცვისა და მომრავლების მიზნით:



ა) მიიღონ ზომები სასარგებლო ნადირ-ფრინველზე ნადირობის წესებისა და ვადების დაცვისათვის, სარწაო ნადირობის გეგმების დროულად აღმსრულებლისათვის;

ბ) სასარგებლო ფაუნის გამრავლებისა და სწორად გამოყენებისათვის უზრუნველყონ ბიოტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება;

გ) მკაცრი ზომები მიიღონ ბრაკონიერობის აღსაკვეთად, გაკაცხონ ბრაკონიერთა მოქმედება და შექმნან მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი;

სასტიკი ბრძოლა გამოუტყადაონ თევზჭერის დაუშვებელ ხერხებს და სთანადო პასუხი მოსთხოვონ იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც არღვევენ თევზის ჭერის ნორმებსა და წესებს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) მიიღოს ზომები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად;

ბ) თავისი მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიოს საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და მათში მეურნეობის სწორად წარმოების საქმე; არ დაუშვას ამ ტყეებში უსისტემო და უნებართვო ჭრა; დასაჯოს ის პირები, რომლებიც არღვევენ საკოლმეურნეო ტყეებით სარგებლობის წესებს;

გ) შეიმუშაოს ეროზიების საწინააღმდეგო კომპლექსური ღონისძიებანი, სათიბ-საძოვრების გაუმჯობესება-გამოყენების პერსპექტიული გეგმა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა ორგანიზაციებს მტკიცედ დაიცვან რესპუბლიკის მდინარეები, წყალსატევები და ტბები დაბინძურებისაგან და უზრუნველყონ მათი გეგმაზომიერი გამოყენება, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი ამ საქმეზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს გადამჭრელი ზომები მიიღონ ბუნების დაცვის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ, არ დაუშვან ამ კანონის დამრღვევთა საქმეების განხილვის გაჭიანურება; ამასთან, ბუნების დაცვის კანონის უხეშად დამრღვევთა საქმეების განხილვა მოაწყონ საჩვენებელ სასამართლო პროცესებზე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს კიდევ უფრო გააძლიერონ ბუნების დაცვის პროპაგანდა; სისტემატურად გააშუქონ ბუნების დაცვისა და მისი რესურსების გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები, მკაცრად ამხილონ დამრღვევები, რათა შეიქმნას საზოგადოებრივი დაგმობის ატმოსფერო იმ პირთა მიმართ, ვინც უდიერად ეპყრობა ბუნების საუნჯეს, არღვევს დადგენილ წესებს, ზიანს აყენებს ფლორასა და ფაუნას. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან მეცნიერები, მწერლები, სპეციალისტები და მშრომელთა ფართო აქტივი.

45107





8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს სისტემატურად გამოსცეს მხატვრული და სახელოვნობო პოპულარული ლიტერატურა, ბროშურები და პლაკატები რესპუბლიკის მუშაკების დაცვის ცალკეულ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური განათლების სამინისტროს ყოველმხრივ გააძლიერონ ბუნების დაცვისა და მოვლის პროპაგანდა მოსწავლე ახალგაზრდობაში; მოაწყონ ბუნების მოყვარულთა, ნორჩ ნატურალისტთა წრეები და კუთხეები, ფართოდ ჩააბან ახალგაზრდობა ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის საქმეში.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ბუნების დაცვის კანონის შესრულებისადმი;

უახლოეს ხანში დაამუშაოს ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმა და დასახოს ღონისძიებანი მის შესასრულებლად;

განიხილოს საქართველოს სსრ მეიქვესე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე გამოთქმული წინადადებანი მათი განხორციელების მიზნით.

11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რეგულარულად განიხილოს ბუნების დაცვის კანონის შესრულების მიმდინარეობა და მიიღოს სათანადო ღონისძიებანი მისი ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, ფართო საზოგადოებრიობა და რესპუბლიკის ყოველი მშრომელი ძალ-ღონეს არ დაზოგავენ ბუნების დაცვის კანონის განუხრელად განხორციელებისათვის და ამით ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანახია.

თბილისი, 1966 წლის 24 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

96 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრავალპარტიული და ტრანსპორტის, სახალხო განათლებისა და კულტურის მუშაობის კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის, სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიათა ანგარიშები, აღნიშნავს, რომ დასახელებულმა კომისიებმა მათი არჩევიდან დღემდე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, განათლებისა და კულტურის

რის შემდგომი აღმავლობისათვის. კომისიები დიდ დახმარებას უწევენ უმაღლეს საბჭოს და მის პრეზიდიუმს, სამინისტროებს, უწყებებს და ადგილობრივ ორგანოებს რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანათა განხორციელების საქმეში.

მუდმივი კომისიების საქმიანობაში ფართოდ არიან ჩაბმული რესპუბლიკის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, დეპუტატები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

საანგარიშო პერიოდში მრეწველობისა და ტრანსპორტის, სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივმა კომისიებმა შეისწავლეს და განიხილეს რიგი აქტუალური საკითხები.


მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა და განიხილა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის რიგ საწარმოში გეგმის შესრულებისა და რენტაბელობის საკითხი, ქიმიის მიღწევათა დანერგვის მდგომარეობა რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში, ახალი ტექნიკის დანერგვის, სამკურნალო და საფეიქრო ფაბრიკების პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის, აგრეთვე ამ პროდუქციით ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხები; შესწავლილ იქნა აგრეთვე შახტებსა და მალარობეში შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მდგომარეობა; კომისიამ საგანგებოდ შეისწავლა, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულება საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადების, ფორმების და ამ სამუშაოებში მონაწილეობისათვის თავის არიდების გამო პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა.

სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა და განიხილა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება, რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობა, საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში მეცნიერთა კადრების მომზადების მდგომარეობა, სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა, კულტურის ძეგლთა დაცვა, საყოველთაო-სავალდებულო რეაწლიანი სწავლების კანონის გატარება, სოფლის ბიბლიოთეკების მუშაობა, სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობა და სხვ.

მუდმივი კომისიების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მოგვარდა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ მრეწველობისა და ტრანსპორტის, სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. კომისიის ყველა წევრი აქტიურად არ მონაწილეობს საკითხების შესწავლა-განხილვაში, სათანადო სიმაღლეზე არ დგას მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის კონტროლი. ჯერ კიდევ სუსტია ამ კომისიების კავშირი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებთან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
აღგენს:



1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის, სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიების მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა.

2. პარტიის XXIII ყრილობის დადგენილების შესაბამისად, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივმა კომისიამ დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის ორგანოებს მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ხელი შეუწყოს გამოჩვენებებისა და რაციონალიზატორების მუშაობას, მათი წინადადებების დროულად განხილვას და დანერგვას მრეწველობაში და ტრანსპორტზე.

3. სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივმა კომისიამ მთელი თავისი მუშაობით ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შემდგომ განვითარებას, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის სათანადო მატერიალური ბაზის შექმნას, კულტურის სახლების, კლუბების, პიონერთა სახლების, მუზეუმების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მხატვრული თვითმოქმედების გაფართოებას და მოსახლეობის კინომოსახურების გაუმჯობესებას.

პერიოდულად შეისწავლოს სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა და შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს:

თავისი მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ აქტუალური საკითხების განხილვა სხვა კომისიებთან ერთად; საკითხების შესწავლა-განხილვაში ჩააბან კომისიის ყველა წევრი, შესაბამისი დარგის სპეციალისტები და ადგილობრივი ორგანოების მუშაკები.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ავალებს ყველა სამინისტროსა და უწყებას, მათ ადგილობრივ ორგანოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუდმივი კომისიების რეკომენდაციებს და წინადადებებს, დროულად განიხილონ ისინი და მიიღონ საჭირო ზომები მათ შესასრულებლად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სისტემატური დახმარება გაუწიოს უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, მოახდინოს მათი მუშაობის კოორდინაცია, განაზოგადოს და გააზრცელოს მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

ს ა ნ თ ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

97 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებუ-
ლებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის
(ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძა-
ნებულებანი:

1966 წლის 28 მარტის — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავ-
შირო-რესპუბლიკური სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის
შესახებ“;

1966 წლის 20 ივნისის — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არ-
სებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკური
მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-
ტექნიკური მომარაგების საკავშირო-რესპუბლიკურ მთავარ სამმართველოდ
გარდაქმნის შესახებ“;

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს შესაბამისი დამატებანი საქართვე-
ლოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს
იგი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს
სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოად-
გილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის
თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე;


საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელე-
ვიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლე-
ბის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშ-
როების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე;



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამახია.


თბილისი, 1966 წლის 24 ივნისი.

დადგინილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

98 ამხ. ი. ი. ჩოღრიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახალხოფიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 მარტის ბრძანებულება ამხ. იოსებ ივანეს ძე ჩოღრიშვილის საქართ-



ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანავა.

თბილისი, 1966 წლის 24 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

99 ახს. მ. ბ. კოდუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 20 ივნისის ბრძანებულება ახს. მიხეილ გალაქტიონის ძე კოდუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანავა.

თბილისი, 1966 წლის 24 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი


საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

100 „სოხუმის რაიონის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-20 მუხლში დაშვების შეთანხმების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 12 იანვრის ბრძანებულება „სოხუმის რაიონის შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს სათანადო დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-20 მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:



„მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც სოხუმის რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1966 წლის 24 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

101 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის უმჯობესი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების უზრუნველყოფის მიზნით

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 12 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის უმჯობესი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1966 წლის 24 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

102 „საქართველოს სსრ სახანძრო-საპატრულო უწყობის უზრუნველყოფის მიზნით კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების უზრუნველყოფის მიზნით

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლო წესრიგის შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1966 წლის 24 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

103 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

